როგორ გავაუმჯობესოთ სკოლის მზაობა პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით?

(კორბოულის N2 საჯარო სკოლის მაგალითზე)

ბაია ბოლქვაძე

ეთერ გვარამაძე

სოფიკო კვარაცხელია

სამაგისტრო ნაშრომი/ სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ბაია ბოლქვაძე
ეთერ გვარამაძე
სოფიკო კვარაცხელია

(ნაშრომის წარდგენის თარიღი)

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „როგორ გავაუმჯობესოთ სკოლის მზაობა პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით? (კორბოულის N2 საჯარო სკოლის მაგალითზე)“. კვლევაში ჩართულები იყვნენ კორბოულის N2 საჯარო სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

მოცემული კვლევის მიზანია: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სკოლას დაეხმაროს საკუთარი ადგილისა და როლის გააზრებაში, ამასთანავე აღნიშნულთან დაკავშირებით ხელი შეუწყოს სკოლის ძირითადი საჭიროებების იდენტიფიცირებას, რათა გაიზარდოს სკოლის მზაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

კვლევა განხორციელდა პრაქტიკის კვლევის ფორმატში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ: სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, დოკუმენტების ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან კი გამოკითხვა, რომელიც სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ჩატარდა ელექტრონული სახით, როგორც დიაგნოსტირების, ისე შეფასების ეტაპებზე.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ სკოლის მზაობისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შესაბამისობის დასადგენად, პირველ ეტაპზე, სკოლას უნდა განეხორციელებინა არსებული რეალობის ანალიზი, რომლისთვისაც ის სტრატეგიული დაგეგმვის ფართოდ გავრცელებულ ინსტრუმენტს SWOT ანალიზს გამოიყენებდა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე დაიგეგმა მოცემული პრაქტიკის კვლევის განმავლობაში განხორციელებული ინტერვენციები.

ინტერვენციების შეფასებისთვის ჩატარდა: ფოკუს ჯგუფი სკოლის დირექციასთან, სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი SWOT ანალიზის ხარისხობრივი ანალიზი და ელექტრონული გამოკითხვები SWOT ანალიზის შესახებ ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებლად.

ინტერვენციების შეფასების შემდეგად შეგიძლია ვთქვათ, რომ კორბოულის N2 საჯარო სკოლამ შეფასა სკოლის მზაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტთან („მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები“) მიმართებით და სასკოლო საზოგადოება, SWOT ანალიზის სახით, დაეუფლა ისეთი ინსტრუმენტის გამოყენებას, რომელიც მომავალშიც დაეხმარება გასაუმჯობესებელი ფაქტორების განსაზღვრაში, რომ სკოლამ შეძლოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროფესიული განათლება, SWOT ანალიზი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

ABSTRACT

This paper is a practice research report on the topic: “How to improve school readiness for the Vocational Education Authorization Standards?” (On the example of Korboul N2 Public School).

Korboul N2 Public School’s management, teachers, students and parents were involved in the study.

The purpose of the study is assist the school in understanding its own place and role in meeting the Vocational Education Authorization Standards, in addition, to help identify the basic needs of the school in this regard, to increase the readiness of the school to meet the accreditation standards of a Vocational Education Institutions.

The research was conducted in a practice research format. In the study were used quantitative and qualitative research methods. In particular, we used qualitative research methods: in-depth interview, focus group, document analysis. A survey of quantitative research methods was conducted electronically with schoolchildren and their parents, both diagnostic and evaluation stages.

After analyzing the results obtained using these methods, it was decided that in order to determine compliance with the school readiness and vocational education authorization standards, the school should first conduct an existing reality analysis, for which it would use the widespread SWOT analysis tool. Based on the above, the interventions carried out during the research of the given practice were planned.

To evaluate the interventions, a focus group was conducted with the school administration, a qualitative analysis of the SWOT analysis created by the school community, and electronic surveys to test factual knowledge about the SWOT analysis.

After evaluating the interventions, we can say that Korboul N2 Public School assessed the readiness of the school for the fifth standard of vocational education authorization ("Material, Information and Financial Resources") and the school community, in the form of SWOT analysis,

has mastered the use of a tool that will help determine the factors for improvement in the future, that the school be able to meet the accreditation standards of a vocational education institution.

Key words: Vocational Education, SWOT Analysis, Authorization Standards of Vocational Educational Institutions.